



## ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი (BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიძლუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეთი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: [info@baltic.media](mailto:info@baltic.media).

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,  
Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. ჟურნალისტიკის პრაქტიკის და ბიზნეს სემინარები Reuters Institute-საგან
2. მედიაგრანტები Earth Journalism Network-საგან
3. ვებინარი: ვაქცინაციის სფეროს ჟურნალისტიკა
4. საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია“ პრაქტიკოსები პრაქტიკოსებისათვის: მენეჯმენტი, აუდიტორია, მონეტიზაცია
5. ქშიშტოფ მილერის სახელობის ფოტოკონკურსი
6. მეცნიერებისადმი მიძღვნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი
7. Open Notebook-ის და Burroughs Welcome ფონდის სტიპენდია სამეცნირო ჟურნალისტებისათვის
8. Thomson Reuters-ის ფოტო კონკურსი
9. სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ჰარვარდში
10. Oxygen Project იღებს სინოფსისებს ეკოლოგიის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისაგან
11. ინგლისური ენის უფასო კურსი ჟურნალისტებისათვის
12. მედიაში დასაქმებული ქალების ფინანსური მხარდაჭერა
13. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

## 1. ჟურნალისტიკის პრაქტიკის და ბიზნეს სემინარები Reuters Institute-საგან

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Reuters Institute განახორციელებს ყოველკვირეული სემინარების სერიას ბიზნესსა და პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში. ვებინარები გაიმართება ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით Zoom-ის გამოყენებით. ეს კურსი გახლავთ ჟურნალისტების სასტიპენდიო პროგრამის ნაწილი. სერია იწყება 7 ოქტომბერს ლონდონის დროით 13:00.

სემინარები ეძღვნება შემდეგ თემებს: ბენოლა ჟურნალისტებზე, სთორითელინგის ხელსაწყოები, რუსეთის გავლენა გლობალურ პოლიტიკაზე.

ვებინარებს უძღვება მირა სელვა, ჟურნალისტების სასტიპენდიო პროგრამის დირექტორი.

მონაწილეობისათვის აუცილებელია რეგისტრაცია, პროცესი გრძელდება

**დანვრილებით:** <https://bit.ly/34tIYCC>

## 2. მედიაგრანტები Earth Journalism Network-საგან

**გეოგრაფია** - მთელი მსოფლიო

Earth Journalism Network (EJN) Arcadia-სთან თანამშრომლობით <https://www.arcadiahfund.org.uk/> ორგანიზებას უწევს საგრანტო პროგრამას, რომლის მიზანია გარემოს დაცვის და ბიომრავალფეროვნების საკითხების გაშუქება.

განაცხადების შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტებს, მედიაორგანიზაციებს, ჟურნალისტურ სკოლებს.

გრანტების სრული მოცულობა – 48 000 ამერიკული დოლარი – განაწილდება სამ ან ხუთ გამარჯვებულ მედია პროექტზე. პროექტები უნდა იყოს მიმართული ჟურნალისტური ქსელის ან მედიაორგანიზაციების გაძლიერებაზე, რათა მათ აქტიურად გააშუქონ გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების საკითხები; გაუძღვენ ტრენინგებს ჟურნალისტებისათვის;

**დანვრილებით:** <https://bit.ly/34nQmyo>

**ვადა:** 15 ოქტომბერი 2020 წ.

### 3. ვებინარი: ვაქცინაციის სფეროს ჟურნალისტიკა

**გეოგრაფია** - სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა

ტომსონ როიტერსის ფონდი ვაქცინაციის ინსტიტუტთან ერთად 16-დან 25 ნოემბრამდე უძღვებიან სემინარს ვაქცინაციის საკითხების გაშუქების შესახებ. მონაწილეები და ექსპერტები განიხილავენ აცრების როლს ჯანდაცვის სისტემაზე, ახალ აქტუალურ საკითხებს, მედიის პასუხისმგებლობას ინფორმაციის გავრცელებისას, ცნობიერების ამაღლებისა და ანტივაქსერებისაგან მომდინარე არასანდო ინფორმაციისაგან დაცვის საკითხებს. სემინარი შედგება რუსულ და ინგლისურ ენებზე. კურსის დასასრულს ცალკეულ მონაწილეებს შესთავაზებენ მენტორობას.

**დანვრილებით:** <https://tmsnrt.rs/3niohkC>

**ვადა:** 15 ოქტომბერი 2020 წ.

### 4. საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია“ პრაქტიკოსები პრაქტიკოსებისათვის: მენეჯმენტი, აუდიტორია, მონეტიზაცია

**გეოგრაფია** - მსოფლიო

მედია ინსტიტუტი Fojo <https://fojo.se/en/> და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ორგანიზაციები გინვვით მედია გამოცდილების გაზიარების III საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 19-21 ოქტომბერს ონლაინ გაიმართება.

თემები:

პრიორიტეტები და მართვის სტრატეგიები კრიზისის და პანდემიის დროს;

როგორ გავაფართოვოთ და შევაკავოთ აუდიტორია და შევკრაოთ საზოგადოება საკუთარი მედიაარხის ირგვლივ;

როგორ მივიღოთ შემოსავალი, როდესაც დამკვეთებს ბიუჯეტი შემცირებული აქვთ, წარმატებული მიდგომები;

მინიმუმი თეორიები, მაქსიმუმი პრაქტიკული გამოცდილება.

სპიკერები წარმოადგენენ წარმატებულ მედია ორგანიზაციებს სომხეთიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან, ლატვიიდან, მოლდოვიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან , უკრაინიდან და შვედეთიდან.

დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია

**დანვრილებით:** <https://bit.ly/34nOuOo>

## 5. ქშიშტოფ მილერის სახელობის ფოტოკონკურსი

**გეოგრაფია**- მსოფლიო

პოლონური მედია ორგანიზაცია Agora SA <https://www.agora.pl/en> Gazeta Wyborcza-თან პარტნიორობით ორგანიზებას უწევს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც დამწყებ ისე პროფესიონალ ფოტოგრაფებს.

კონკურსი მიესაღმება ფოტო ნამუშევრებს, რომელებიც ასახავს ღრმა, სამართლიან და უშიშარ ხედვას რთული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემებისადმი.

მონაწილეებმა უნდა წარადგინონ 7-დან 12-მდე ფოტო ნამუშევარი. მათგან მინიმუმ 5უნდა იყოს შექმნილი 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2020 სექტემბრამდე.

მთავარი პრიზი – 10 000 ზლოტი, გაცივმა ასევე პრიზი 3 000 ზლოტის ოდენობით კატეგორიაში „თავისუფლება, სოლიდარობა, ტოლერანტობა“ .

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3jANYKY>

**ვადა:** 21 ოქტომბერი 2020 წ.

## 6. მეცნიერებისადმი მიძღვნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი

**გეოგრაფია** - მსოფლიო

სამეცნიერო კონტენტის შემქმნელთა მსოფლიო კონგრესი (World Congress of Science and Factual Producers (WCSFP)), რომელიც გაიმართება ონლაინ 8-დან 10 დეკემბრის ჩათვლით, ორგანიზებას უწევს ფილმების კონკურსს «მეცნიერება 60 წამში». მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტებს 35 წლამდე.

საკონკურსოდ მიიღება ვიდეოები არაუმეტეს 60 წამისა, სამეცნიერო თემატიკაზე.

ვიდეო ფორმატები:

1:1 ან 5:6 (ვერტიკალური)Instagram-ისთვის – მაქსიმალური ხანგრძლივობა 60 წამი.

9:16 (ვერტიკალური)Instagram Stories/TikTok - მაქსიმალური ხანგრძლივობა 60 წამი.

საუკეთესო ვიდეოები იქნება ნაჩვენები კონგრესზე და გამოქვეყნდება WCSFP სოციალურ მედიაზე. სამი საუკეთესო ვიდეოს ავტორი მიიღებს შესაძლებლობას მომდევნო წელს კონგრესზე უფასოდ დარეგისტრირდეს. გრან პრის მფლობელი უფასო რეგისტრაციასთან ერთად მიიღებს ფრენისა და საცხოვრებლის დაფინანსებას კონგრესზე დასასწრებად.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/34rHZly>

**ვადა:** 23 ოქტომბერი 2020 წ.

## 7. Open Notebook-ის და Burroughs Wellcome ფონდის სტიპენდია სამეცნიერო ჟურნალისტებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Open Notebook <https://www.theopennotebook.com/> და Burroughs Wellcome <https://www.bwfund.org/> ფონდი, აცხადებენ 8 თვეზე გათვლილ პროგრამაში მონაწილე კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს. სტიპენდიის მოცულობა – 4 200 ამერიკული დოლარი. დისტანციური და არასრული დატვირთვის გათვლის მქონე პროგრამაში ჩართვისთვის განაცხადის წარდგენა შეუძლიათ სამეცნიერო თემატიკაზე მომუშავე დამწყებ ავტორებს.

გათვლილია რომ სტიპენდიანტებმა კონსულტანტების დახმარებით მოამზადონ 6 სამეცნიერო სტატია Open Notebook-თვის. გარდა ამისა, ისინი გახდებიან სადისკუსიო ჯგუფის მონაწილეები, რომელიც აერთიანებს გასული პროგრამების მონაწილეებს და რედაქტორებს.

კანდიდატებს არ უნდა ჰქონდეთ სამეცნიერო თემატიკის გაშუქების 2 წელზე მეტი გამოცდილება. განაცხადის წარდგენა შეუძლიათ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსაც. აუცილებელია ინგლისურის სრულყოფილი ფლობა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3iFH1Y5>

**ვადა:** 25 ოქტომბერი 2020 წ.

## 8. Thomson Reuters-ის ფოტო კონკურსი

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Thomson Reuters-ის ფონდი და Omidyar Network იწყებენ კონკურსს "COVID-19: ფართო სურათი" (COVID-19: The bigger picture).

საკონკურსოდ მიიღება ფოტომასალები, რომლებიც ასახავენ პანდემიის გავლენას ადამიანზე. განსაკუთრებით მისასაღმებელია უცნობი ისტორიები, რომლებიც კავშირშია COVID-19.

კონკურსის სამი გამარჯვებული ჩაერთვება ფოტოჟურნალისტების მასტერკლასში, რომელიც ორგანიზებულია Thomson Reuters-ის მიერ. ასევე, შეძლებენ ფონდის ახალი ამბების გუნდთან ერთად იმუშაონ ფოტორეპორტაჟზე, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდება.

**დანვრილებით:** <http://covid19-biggerpicture.trust.org/>

**ვადა:** 28 ოქტომბერი 2020 წ.

## 9. სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ჰარვარდში

**გეოგრაფია** - მსოფლიო

ნიმანის ფონდი <http://nieman.harvard.edu/> და ბერკმანის ცენტრი <http://cyber.law.harvard.edu/> იღებენ სტაჟიორებს, რომლებიც წლის განმავლობაში განახორციელებენ კვლევას ჟურნალისტიკაში ინოვაციების შესახებ.

აღნიშნული სტიპენდიის მისაღებად განაცხადების შეტანა შეუძლიათ საინფორმაციო სააგენტოების ჟურნალისტებს, რომელთა ნამუშევრები შეეხება ბიზნესს, ტექნოლოგიებს და ლიდერობას.

კანდიდატებმა უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მედიის ციფრულ ფორმატში გადასვლას. მსგავსი პროექტების მაგალითად შეიძლება იქნეს განხილული წინადადებები ჟურნალისტიკისთვის შემოსავლების ახალი წყაროების შესახებ; ჟურნალისტიკისთვის ახალი ინსტრუმენტების მოძებნის შემუშავება და სხვა.

სტიპენდიანტების პროგრამაში ასევე შედის საცხოვრებელი ხარჯების დაფარვა, ბავშვის მოვლა და სამედიცინო დაზღვევა.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/33xSkgt>

**ვადა:** 1 დეკემბერი 2020 წ.

## 10. Oxygen Project იღებს სინოფსისებს ეკოლოგიის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისაგან

**გეოგრაფია** - მსოფლიო

Oxygen Project იღებს განაცხადებს, რომლებიც ეხება სასარგებლო წიაღისეულის ღრმანყოფან მოპოვებას- ოკეანეების ეკოლოგიის ახალ გლობალურ პრობლემას.

ეკოლოგიის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს შეუძლიათ წარადგინონ სინოფსისები და მიიღონ ანაზღაურებადი შესაძლებლობა გამოაქვეყნონ მასალა. შეთავაზებებში შედის: ახალი ამბების ფორმატი, დეტალური ანალიტიკური სტატიები, გამოძიება და ა.შ.

მზა მასალის ზომა უნდა შეადგენდეს 800-დან 2 000 სიტყვამდე. მასალა უნდა შეიცავდეს მინიმუმ 2-3 ციტატას ორიგინალი ინტერვიუდან. განაცხადები მიიღება ინგლისურ და ესპანურ ენებზე, 1 დეკემბრამდე ან ვიდრე არ ამოიწურება პროექტის ბიუჯეტი.

**დანვრილებით:** <https://bit.ly/32ZdjHk>

## 11. ინგლისური ენის უფასო კურსი ჟურნალისტებისათვის

**გეოგრაფია** - მსოფლიო

პენსილვანიის უნივერსიტეტი გთავაზობთ მასობრივ ღია ონლაინ-კურსს «ინგლისური ჟურნალისტებისათვის», რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პლატფორმაზე Coursera 24 აგვისტოდან. რეგისტრაცია შეუძლია ყველა მსურველს.

კურსი შედგება ხუთი ნაწილისაგან და შემუშავებული აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ვერ ფლობენ ინგლისურს მშობლიური ენის დონეზე და არიან დაინტერესებული პროფესიული უნარების განვითარებაში.

კურსი გათვლილია დამოუკიდებელ სწავლაზე, საშუალო მოცულობა არის 42 საათი. რეგისტრაცია გრძელდება.

**დანვრილებით:** <https://www.coursera.org/learn/journalism>

## 12. მედიაში დასაქმებული ქალების ფინანსური მხარდაჭერა

**გეოგრაფია** - მსოფლიო

მედიაში დასაქმებული ქალების საერთაშორისო ფონდი ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად, იღებს განაცხადებს პროექტის ფარგლებში „ჟურნალისტთა მხარდაჭერის ფონდი“(Journalism Relief Fund).

ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს რომლებიც ფინანსურ პრობლემებს შეეჩხნენ. ფონდი ეხმარება ქალ ჟურნალისტებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, გაათავისუფლეს ან სასწრაფოდ საჭიროებენ დახმარებას.

მიიღება განაცხადები ჟურნალისტებისაგან, რომლებსაც მოცემულ მომენტში არ გააჩნიათ შემოსავლის არავითარი სხვა წყარო და მინიმუმ ბოლო 6 თვის განმავლობაში მუშაობდნენ სრულ განაკვეთზე. შერჩეული კანდიდატები მიიღებენ მხარდაჭერას 2 000 დოლარის ფარგლებში.

განაცხადები მიიღება ღია კარი პრინციპით

**დანვრილებით:** <https://bit.ly/3aPuga1>



## 13. ონლაინ კურსები რუსულენოვანი ჟურნალისტებისათვის

### გეოგრაფია - მსოფლიო

ორჰან ჯემალის სახელობის მედიაუსაფრთხოების აკადემიის ონლაინ კურსები შემუშავებულია პროფესიონალი და სამოქალაქო ჟურნალისტებისათვის, ფრილანსერებისათვის, ბლოგერებისა და ონლაინ აქტივისტებისათვის, რომლებიც იყენებენ რუსულს სამუშაო ენად. სწავლება უფასოა, საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია.

აკადემიის 14 ტრენერი 9 ქვეყნიდან უძღვებიან შემდეგ ვიდეო კურსებს:

რისკების ანალიზი და სტრუქტურირებული ანალიტიკური ინსტრუმენტები

ძირითადი ფიზიკური უსაფრთხოება რისკის ზონაში

საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოება

ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება, მუშაობა ტრავმით

იურიდიული დაცვა მედია რისკებისაგან

აკადემიის სტუდენტები, რომლებიც გაივლიან ყველა მოდულს და ნარმატებით ჩააბარებენ ტესტს, მიიღებენ სერტიფიკატს ფონდისგან „სამართლიანობა ჟურნალისტებისათვის“

დანვრილებით: <https://jfj.academy/#about>

### © Baltic Centre for Media Excellence, 2020

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

### შემდგენები:

ალინა რუდინა, არშალუს მურადიანი, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, ნაილია ალიევა, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამონურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

### ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

reutersinstitute.politics.ox.ac.uk  
earthjournalism.net  
trust.org  
press-club.by  
static.im-g.pl  
wcsfp.com  
theopennotebook.com  
covid19-biggerpicture.trust.org  
nieman.harvard.edu  
mailchi.mp  
coursera.org  
iwmf.submittable.com  
jfj.academy